



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 107

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი  
28.12.2023

107-06-4-202312281754



### გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის აივენგო რიკაძის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N38 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N49 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2023 წლის 22 დეკემბრის N226 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

#### მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N38 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - აივენგო რიკაძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 700 (შვიდასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

#### მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ამ თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშწორებით, სპორტსმენის პირად საბანკო ანგარიშზე:

აივენგო რიკაძე - 700 (შვიდასი) ლარი, კ/ნ12001098075; GE86BG000000537639416.

#### მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

#### მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ.  
რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო  
კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

